



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## საარჩევნო ქვეჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 3 ოქტომბერი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მერი კაპანაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
2. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
3. მამუკა ყუფარაძე - სტუდია „რე“
4. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველო
5. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“

### განსახილველი საკითხები:

- დამკვირვებელი ორგანიზაციების შუალედური ანგარიშების, მედია მონიტორინგის შედეგების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება
- და სხვა

საარჩევნო ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა ქვეჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა, მერი კაპანაძემ, რომელმაც ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

თავდაპირველად, ქვეჯგუფის კოორდინატორმა დამსწრე პირებს მოკლედ გააცნო თავისი ორგანიზაციის საქმიანობა და მიმდინარე აქტივობების შესახებ გაუზიარა ინფორმაცია. თავისმხრივ, საარჩევნო ქვეჯგუფის შეხვედრაზე დამსწრე ორგანიზაციების წარმომადგენლება ისაუბრეს იმ კონკრეტულ მიმართულებებზე, პროექტებსა და აქტივობებზე, რომლებსაც ახორციელებენ და რომლის ფარგლებშიც საქმიანობენ.

მეორე საკითხად საარჩევნო ქვეჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მერი კაპანაძემ ისაუბრა საარჩევნო პროცესის მნიშვნელობაზე და იმ წინასაარჩევნო გარემოზე, რომელიც დღეს გვხვდება ქვეყანაში. დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი აქტიურად არის ჩართული წინასაარჩევნო პროცესებში. ქალბატონმა მერიმ დამსწრე საზოგადოებას გააცნო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მომზადებული და გამოაქვეყნებული საპრეზიდენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაზე, საოლქო და საუბნო კომისიების კონკურსის, დაკომპლექტების წესსა და პროცესებზე, მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე. ქვეჯგუფის კოორდინატორმა ყურადღება გაამახვილა იმ დადებით ტენდეციებზე, რომელიც შესამჩნევია სენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაში. მან აღნიშნა რომ ცესკო წინა წლებთან შედარებით მეტად უზრუნველყოფს სხდომებზე რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეგულარულ დასწრებას. ასევე მეტად გამარტივებულია მათთან თანამშრომლობა და ინფორმაციებზე წვდომა.

მნიშვნელოვანი სიახლეა რომ 2018 წელს, კანონმდებლობის დახვეწის მიზნით საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები, რომელმაც უზრუნველყო ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის წესის გამარტივება.

შეხვედრის დასასრულს დამსწრე წევრებმა ისაუბრეს იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც მომავალში უზრუნველყოფს საარჩევნო გარემოს უფრო მეტად განვითარებას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე